8
ჯ-676
- 1751 -
ჯოლოგუა თ. ო.
დიმიტრი ყიფიანის
ნაღვაწი
ქართ
- 1751 -

8
ჯ-676

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამაზ ლუდას ძე ჯოლოგუა

დიმიტრი ყიფიანის კულტურულ-საგანმანათლებლო, სალიტერატურო და ჟურნალისტური მოღვაწეობა

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ბაქანიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჭურღულია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი მიქაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მიხეილ ქავთარია

წამყვანი ორგანიზაცია - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 1.X. 13⁰⁰ საათზე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P10.01.01 C №2 სხდომაზე
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 1.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის „ 30 “ VIII

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა და გამოკვლევის მიზანი.</u> 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით გამოწვეული ღრმა კრიზისის - ფაქტობრივად პოლიტიკური, კულტურული და მორალური კოლაფსის - დაძლევის შემდეგ ჩვენში ფეხს იკიდებს და თანდათანობით საყოველთაოდ მკვიდრდება ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომლის საფუძვლებიც ასეთი იყო: ვინაიდან ამ პირობებში რუსეთთან ღია (მით უმეტეს, „იარაღის ენაზე“) დაპირისპირება სავსებით.. უპერსპექტივოა, ვინაიდან პოლიტიკური ძალები დარბეული და დაქსაქსულია, ვინაიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ერთბაშად დაინგრა და მოიშალა, სასიცოცხლოდ აუცილებელია ისეთი საზოგადოებრივ-კულტურული პროგრამის შემუშავება, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც შესაძლებელს გახდის არსებული რეჟიმის პირობებშივე, რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ ფარგლებშივე ქართველი ერის ეთნიკური, ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნებასა და შეძლებისდაგვარად განმტკიცება-განვითარებასაც. ეს პროცესი 1840-იან წლებში იწყება და აქედან მოკიდებული ვიდრე სამოღვაწეო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის გამოსვლამდე, - მთელი ოცწლეულის განმავლობაში, - საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სათავეში დიმიტრი ყიფიანს ვხედავთ.

1840-1850-იან წლებში დ. ყიფიანმა, როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ - იდეურად და პრაქტიკული საქმიანობით - განმსაზღვრელი როლი შეასრულა საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით წარმართვაში. დ. ყიფიანის აზროვნება, მისი პრაქტიკული მოღვაწეობის ხასიათი, მიმართულება და შედეგები უნდა ჩაითვალოს, მართალია, პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ, მაგრამ კულტურული თვალსაზრისით შემაკავშირებელ ეტაპად, ამასთანავე, მსოფლმხედველობრივ „ხიდად“ „ოცდათორმეტიანელობასა“ და „თერგდალეულობას“ შორის. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი ამ დებულების ნათელყოფა-დასაბუთებაა.

დ. ყიფიანის ხანგრძლივი და მრავალმხრივი მოღვაწეობიდან, - ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, - განსაკუთრებული მნიშვნელობის მონაკვეთად 1830-1850-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ და შესაბამისად საკვლევი თემის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც ამ ვითარებითაა განსაზღვრული.

პერიოდი 1832 წლის შეთქმულების დამარცხებიდან ვიდრე 1850-იანი წლების დასასრულამდე ყველაზე სუსტად შესწავლილი მონაკვეთია როგორც